სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080116924626823

№ 3030

13 / ნოემბერი / 2023 წ.

შპს „მვმ“-ს შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ონის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT230014373;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

პრეტენდენტი: შპს „მვმ“ (ს/ნ: 412700206);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 14 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა ონის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 14 სექტემბრის № 78-782325725 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 7542), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT230014373 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის – შპს „მვმ“-ს (ს/ნ: 412700206) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ პრეტენდენტს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის utmelidze63@mail.ru მეშვეობით, 2023 წლის 19 სექტემბერს № 2930 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. პრეტენდენტმა 2023 წლის 26 სექტემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 26 სექტემბრის განმარტება (რეგისტრაციის № 7851), NAT230014373 ელექტრონული ტენდერიდან დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, NAT230014373 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შპს „ვექტორმა“ (ს/ნ: 431953335) და შპს „მვმ“-მ (ს/ნ: 412700206). შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2023 წლის 14 აგვისტოს №5 სხდომის ოქმით დაადგინა, რომ შპს „ვექტორს“ წინადადების წარდგენის დროს ატვირთული ჰქონდა კონკურენტის, შპს „მვმ“-ს მიერ NAT230014373 ელექტრონულ ტენდერში წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რის გამოც, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

შპს „მვმ“-ს მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

3. პრეტენდენტის პოზიცია

პრეტენდენტი არ ეთანხმება შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებას და განმარტავს, რომ მას და შპს „ვექტორს“ სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში საკონსულტაციო მომსახურებას უწევს ერთი და იგივე პირი – ი.ბ., რომელმაც დაუშვა შეცდომა და სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში შპს „ვექტორის“ მიერ სატენდერო წინადადების წარდგენისას შეცდომით ატვირთა შპს „მვმ“-ს ტექნიკური დოკუმენტაცია. პრეტენდენტი აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონია კომუნიკაცია არცერთ კონკურენტ ორგანიზაციასთან, მათ შორის, შპს „ვექტორთან“, არ უცნობებია მისთვის სატენდერო წინადადების ფასი ან სხვა ინფორმაცია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მხარეები იმოქმედებდნენ აფიდავიტის პირობების დარღვევით, აღნიშნული განხორციელდებოდა ზეპირად, წინდახედულობის გათვალისწინებით და ვერ გახდებოდა ცნობილი შემსყიდველი ორგანიზაციისთვის. ასევე, მას რომ საჯარო გაეხადა სატენდერო წინადადება, უშუალოდ მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უნდა გადაეცა აღნიშნული დოკუმენტაცია შპს „ვექტორისთვის“ და მათ შორის უნდა განხორციელებულიყო კომუნიკაცია, ხოლო ის ფაქტი, რომ მსგავს ქმედებას კომპანიებს შორის ადგილი არ ჰქონია, გამორიცხავს აფიდავიტის პირობების დარღვევას და ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენას. პრეტენდენტი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლოში გაასაჩივრა შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის 2023 წლის 14 აგვისტოს № 5 სხდომის ოქმი მისი დისკვალიფიკაციის შესახებ არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო და სახელმწიფო შესყიდვებთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 2023 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 12 ივლისს ონის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა NAT230014373 ელექტრონული ტენდერი მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (CPV45200000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT230014373 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღეს შპს „ვექტორმა“ (ს/ნ: 431953335) და შპს „მვმ“-მ (ს/ნ: 412700206).

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ შპს „ვექტორს“ NAT230014373 ელექტრონულ ტენდერში წინადადების წარდგენის დროს ატვირთული ჰქონდა კონკურენტის – შპს „მვმ“-ს მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რის გამოც, 2023 წლის 14 აგვისტოს № 5 სხდომის ოქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „მვმ“-ს (ს/ნ: 412700206) მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.4. სატენდერო კომისიის 2023 წლის 14 აგვისტოს № 5 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება შპს „მვმ“-მ 2023 წლის 16 აგვისტოს გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში (საჩივრის DIS230014373_01(NAT)).

4.5. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2023 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს „მვმ“-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2023 წლის 12 სექტემბრის № 6 სხდომის ოქმით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „ვექტორს“ (ს/ნ: 431953335) მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

4.7. სატენდერო კომისიის 2023 წლის 12 სექტემბრის № 6 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება შპს „ვექტორმა“ 2023 წლის 15 სექტემბერს გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში (საჩივრის DIS230014373_02(NAT)).

4.8. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2023 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ვექტორის“ საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

4.9. შპს „ვექტორმა“ (ს/ნ: 431953335) 2023 წლის 26 სექტემბერს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 26 სექტემბრის № 41 განმარტება (რეგისტრაციის № 7856), რომელშიც აღნიშნავს, რომ და მასსა და შპს „მვმ“-ს სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში საკონსულტაციო მომსახურებას უწევს ერთი და იგივე პირი – ი.ბ., რომელმაც დაუშვა შეცდომა და სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის მიერ სატენდერო წინადადების წარდგენისას შეცდომით ატვირთა შპს „მვმ“-ს ტექნიკური დოკუმენტაცია. შპს „ვექტორი“ განმარტავს, რომ მასსა და შპს „მვმ“-ს შორის არ განხორციელებულა კომუნიკაცია და ინფორმაციის გაცვლა, შესაბამისად, მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონია აფიდავიტის პირობების დარღვევას.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „მვმ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მის მიერ წარდგენილი სატენდერო წინადადება ან მისი კომპონენტი შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ამასთან, ამავე პირობების მიხედვით, „კონკურენტი“ არის ნებისმიერი პირი, რომელიც არის ან შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ამ ტენდერში/კონკურსში.

7.5. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის 2023 წლის 14 აგვისტოს №5 სხდომის ოქმზე, რომლითაც ირკვევა, რომ შპს „ვექტორმა“ NAT230014373 ელექტრონულ ტენდერში წარადგინა შპს „მვმ“-ს ტექნიკური დოკუმენტაცია, რასაც შპს „მვმ“-ც და შპს „ვექტორიც“ ადასტურებენ წარმოდგენილი განმარტებებით. ამდენად, დასტურდება პრეტენდენტების მიერ აფიდავიტის პირობების დარღვევა. შესაბამისად, სახეზეა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა. ასევე, აღსანიშნავია, რომ პრეტენდენტს ადმინისტრაციული წარმოების პროცესში რომ სააგენტოში არ წარმოუდგენია სასამართლოს განჩინება, რომლითაც სააგენტოს შეეზღუდებოდა შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობით შეტყობინებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის

შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან დგინდება, რომ შპს „მვმ“-მ (ს/ნ: 412700206) NAT230014373 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „მვმ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „მვმ“ (ს/ნ: 412700206) 2023 წლის 14 ნოემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე